საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #31

2019 წ. 10 ოქტომბერი 15.00 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ო.გრიგოლია, ლ.დარახველიძე
ლ. არველაძე, ა.ხუჯაძე,
ნ.რუხაძე, ფ.ინჯია, ქ.ჯოხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

განათლებისა და კულტურის კომისიის წევრები, მუზეუმების გაერთიანების ხელმძღვანელი ნინი სანადირაძე და თბილისის მერიის კულტურის ობიექტების მართვის და დაგეგმარების უფროსი ციალა შიოლაშვილი.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:**

კომისიის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე

სხდომის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

**სხდომის დღის წესრიგი:**

1. ქ.თბილისის მუზეუმების პოტენციალი დედაქალაქის ტურიზმის განვითარებისათვის

მოისმინეს:

ნინი სანადირაძემ და ციალა შიოლაშვილმა ისაუბრეს განათლების და კულტურის კომისიის ხელშეწყობით შექმნილ და დანერგილ პროექტებსა და პროგრამებზე. მათ შორის ასევე საერთაშორისო პროექტებზე, საერთაშორისო კონფერენციებზე და მუზეუმების თანამშრომელთა ICOM-ის წევრობაზე. ქ.თბილისის მუნიციპალური „მუზეუმების გაერთიანება“ 2016 წლის 29 ივლისს დაფუძნდა. იგი წარმოადგენს თბილისის მუნიციპალური მუზეუმების გაერთიანებას, რომელიც გულისხმობს 9 დამოუკიდებელი მუზეუმის ერთიან ინსტიტუციას. გაერთიანებაში შემავალი მუზეუმების უმრავლესობა მრავალი წელია არსებობს და ქართული კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის დამცველად გვევლინება.

1. თბილისის ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი
2. თბილისის გალაკტიონ ტაბიძის მემორიალური ბინა-მუზეუმი
3. თბილისის ვახტანგ ჭაბუკიანის მემორიალური ბინა-მუზეუმი
4. თბილისის ზაქარია ფალიაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი
5. თბილისის მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმი
6. თბილისის ნიკოლოზ ბარათაშვილის მემორიალური სახლ-მუზეუმი
7. თბილისის მიხეილ ჯავახიშვილის მემორიალური ბინა-მუზეუმი
8. თბილისის თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმი
9. თბილისის კოტე და სოსო წერეთლების მუზეუმი

მუზეუმები მემორიალური სახისაა, გარდა თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმისა. თითოეულ მათგანში განთავსებულია მემორიალური ან ეპოქალური ნივთები. მუზეუმებში მუდმივად ტარდება სხვადასხვა სახის თემატური საგანმანათლებლო პროგრამები რომელიც თეორიულ ნაწილთან ერთად ვიზიტორებს პრაქტიკულ გაკვეთილებსაც სთავაზობს. გაერთიანების სტრუქტურაში შემავალი მუზეუმები ორიენტირებულნი არიან გააცნონ დამთვალიერებლებს იმ ადამიანთა სახელები, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით XIX-XX საუკუნეების ქართულ კულტურის ჩამოყალიბებაში. მუზეუმების უმეტესობა მსოფლიო სტანდარტებს არის მორგებული. დამთვალიერებლები მემორიალური მუზეუმის სხვა კუთხით დანახვის საშუალება ეძლევა. იგი გაეცნობა არა მხოლოდ პიროვნების ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებს, არამედ სრულიად ეპოქას და თბილისური ცხოვრების მნიშვნელოვან დეტალებს.

კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე აღინიშნა, რომ მუნიციპალური მუზეუმების განვითარების მთავარ ხაზად განისაზღვრა საქმიანობისა და ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და რეორგანიზება ვიზიტორების მოზიდვის მიზნით. ქ.თბილისის მუზეუმების გაერთიანების შექმნით მნიშვნელოვნად გაუჯობესდა მენეჯმენტი და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის ეფექტიანობა; ეტაპობრივად ჩატარდა და მიმდინარეობს მუზეუმების სარეაბილიტაციო-სარემონტო სამუშაოები და ექსპონატების დამუშავება, შეკრება, განახლება.

თბილისი 2019 წელს მსოფლიო ქალაქების ტურიზმის ასოციაციის წევრი გახდა. მერიის მიერ განხორციელებული წარმატებული პროექტების შედეგად პრემიერ მინისტრის გადაწყვეტილებით, დედაქალაქისათვის დამატებით 100 მილიონი ლარი გამოიყოფა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობისათვის.

ნინო ლაცაბიძემ ტუროპერატორებთან კომუნიკაციისა და მათთვის მუზეუმების პოტენციალის სათანადოდ გაცნობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

მან აღნიშნა, რომ კომისიის წევრები შეხვდნენ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის რამდენიმე სამსახურს. ამ შეხვედრებზე იყო საუბარი იმ მუნიციპალურ სერვისებზე, რომელსაც სთავაზობენ ტურისტებს. მნიშვნელოვანია მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რისი გაკეთება შეიძლება ერთობლივად, რათა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული თბილისის მუზეუმების ტურისტული პოტენციალი.

აგრეთვე, ისაუბრეს ტუროპერატორებისთვის სააბონიმენტო სისტემის უკვე არსებულ პროექტზე.

კომისიის წევრები შეთანხმდნენ, რომ თბილისის მუზეუმების ტურისტული პოტენციალის გაუმჯობესებისათვის სამუშაო შეხვედრები მომავალშიც გაიმართება

ნ.ლაცაბიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე